შეთანხმება N1

თეთრიწყარო **01 თებერვალი, 2023 წ.**

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სსიპ - საქართველოს ეროვნულ არქივსა და სსიპ ქალაქ თეთრიწყაროს N 2 საჯარო სკოლას შორის 2023 წლის 10 იანვარს დადებული საარქივო მომსახურების გაწევის შესახებ N2 ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

მუხლი 1. შეთანხმების ადგილი და დრო

წინამდებარე შეთანხმება დადებულია 2023 წლის 01 თებერვალს, თეთრიწყაროში.

მუხლი 2. შეთანხმების მხარეები

ერთი მხრივ, სსიპ საქართველოს ეროვნული არქივი (შემდეგში - მიმწოდებელი), წარმოდგენილი ეროვნული არქივის ტერიტორიული ორგანო - ქვემო ქართლის რეგიონული არქივის დირექტორის დროებით მოვალეობის შემსრულებლის, **თამარი დილეგაშვილის** სახით, და მეორე მხრივ სსიპ ქალაქ თეთრიწყაროს № 2 საჯარო სკოლა (შემდეგში - შემსყიდველი), წარმოდგენილი სკოლის დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის, **მერაბ კობახიძის** სახით.

მუხლი 3. შეთანხმების საგანი

2023 წლის 10 იანვრის საარქივო მომსახურების გაწევის შესახებ N2 ხელშეკრულების მე-6 მუხლის შესაბამისად, შევიდეს ცვლილება ამავე ხელშეკრულების პირველ მუხლში და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„საარქივო მომსახურების შესყიდვა (CPV კოდი - **92500000)** ეროვნული არქივის მიერ სსიპ ქალაქ თეთრიწყაროს N2 საჯარო სკოლის **1963-2011** წლების საქმეთა დროებითი შენახვა ერთი წლის განმავლობაში, 2023 წლის 01 იანვრიდან 2023 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით, სულ: **31** (ოცდათერთმეტი) შესანახი ერთეული (საქმე).“

მუხლი 4. დამატებითი პირობები

4.1. ხელშეკრულების დანარჩენი მუხლები, რომელსაც შეთანხმება არ შეხებია, რჩება უცვლელი.

4.2. წინამდებარე შეთანხმება ძალაში შედის ხელმოწერისთანავე და წარმოადგენს 2023 წლის 10 იანვარს დადებული საარქივო მომსახურების გაწევის შესახებ N2 ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

4.3. წინამდებარე შეთანხმება შედგენილია ქართულ ენაზე, ელექტრონულად და დადასტურებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერით ან/და ელექტრონული შტამპით.

მიმწოდებელი	**შემსყიდველი**
სსიპ - საქართველოს ეროვნული არქივი	სსიპ ქალაქ თეთრიწყაროს N2 საჯარო სკოლა
ქვემო ქართლის რეგიონული არქივის დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი **თამარი დილეგაშვილი**	დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი **მერაბ კობახიძე**